სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 26

2019 წ. "15" 10

ქ.თბილისი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2019 წლის 2 ოქტომბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტის მიერ სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1312377) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 სექტემბრის №172 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს ცენტრის 2019 წლის 4 ოქტომბრის №1332830 წერილით დაუდგინდა ხარვეზი. 2019 წლის 4 ოქტომბერს დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №1337924) ხარვეზის გამოსწორების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მითხოვნებს და ამავე დებულების 26^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტის №1312377 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი